

რედაქცია: სოლოლაკი, სერ-
გიის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლ-
ში, № 8.

კანტორა რედაქციის: სერ-
გიის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სა-
ხლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტო-
რაში. ზარეში მცხოვრებთათვის: В. Т. И. в. В. редакцию газ. „Дрозд“.

გაზეთის ფასი: მთელის წლი-
სა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან.
და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ჟოჟელ დღე ორშაბათს გარდა

დროშა

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს,
რუსულს, სომხურს, და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებების:
ენით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით
სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის
ციკლოთი—4 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გაას-
წილოს და შეამოწმოს დასაბეჭდად
გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი
სტატია ავტომატურად არ დაუბრუნდება.

ჟოჟელ-დღიური გაზეთი

„დროშა“

ხელის-მოწერა: მთელისში, რედაქ-
ციის კანტორაში (სერგიის ქუჩაზე,
ივ. ამირაგოვის სახლებში, № 8).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის აღრე-
სი. В. Т. И. в. В. редакцию газ. „Дрозд“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8
მან., 1/2 წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი
თვის—3 მან.

ტელეგრაფები

ლონდონი, 9 თებერვალი. ზაზეთს „Ti-
mes“-ს სწერენ სტამბოლიდან, რომ ნამიკ-
თაში მიდის პეტერბურგში იმ განზრახ-
ვითა, რომ მსმალეთის მხრით რუსე-
თის იმპერატორს სთხოვოს მორიგების
პირობების შემსუბუქება; ჰსურთ რუსეთ-
ში უკან წაიღოს ის მოთხოვნები, რომ
ბოლგარიიდან გადასახლებულ იქ-
მნენ იქ მცხოვრები მაჰმადიანები და
თითონ ბოლგარიის მომავალ სათავადოს
სამზღვარი თითქმის სტამბოლამდინ უნ-
და იქმნესო.

პარიზი, 8 თებერვალი. ამბობენ, რომ,

ფელტონი

მასლათი

შარშან ამ დროს ერთმანეთს რომ
შეეხებოდნენ, გამარჯობა-გაგიმარჯოს
მაგიერად, ყველაზე პირველად ამას ვკით-
ხავდით ხოლმე:

— იქნება ომი, თუ არა!

12 აპრილის შემდეგ, ე. ი. რაც ომი
გამოცხადდა, 21 იანვრამდინ, ე. ი. დრო-
ებით შერიგებამდინ, ორი კაცი რომ
ერთმანეთს შეეხებოდა, ჰკითხავდა:

— გაგიმარჯეთ, თუ დაგვიმარცხეს?
როგორ მიდის ომის საქმე?

ახლა, 21 იანვარს შემდეგ, ისე კაცი
ერთ შეხედება თავის ნაცნობს რომ ერთ-
მანეთს არ ჰკითხონ:

— მორიგება არის, თუ ისევ ომი?

რადგან ღერბიმ და ბიკონსჭილდმა გა-
ნაცხადეს, რომ კონგრესზე არ დავეს-
წრებითო, ამის გამო თ. ზორჩაკოვსაც
გამოუცხადებია, რომ არც მე დავესწრე-
ბიო.

სტამბოლი, 8 თებერვალი. ნამიკ-თაში
გაგზავნეს პეტერბურგში იმის გამო,
რომ საეჭვო-ფაშისაგან რაღაც დეპეშა
მოვიდა აღრიანოპოლიდამ. ღღეს იყო
აქ ყველა მინისტრების კრება.

ჟურნალ, 9 თებერვალი. ბასულ ოთხ-
შაბათს ღღენ. ტოტლებენი რუსის ჯა-
რით შევიდა რუსეთში, რომელიც,
დროებით შერიგების ძალით, ოსმალე-
ბა დაცალდეს. ბოლგარიის ხალხი დიდი
აღტაცებით მიეგება ჩვენებს; ყვავილებს
ესროდნენ; ადგილობრივ ეპისკოპოსმა
რუსულს ენაზე შესხმა უთხრა ჩვენებს.
მსმალის ჯარიც თავის დიქტრით და
მშვიდობიანად დახვდნენ.

ომის აზრები

შარიზაზის თაობაზე

პარის კორრესპონდენტი გაზეთის
„მოსკოვის უწყებებისა“ 3 თებერვალს
იწერება ამ გაზეთში:

ზაზეთებს ეკითხულობთ, ტელეგრაფ-
მები მოგვდის; მაგრამ ნამდვილს კი ვერა-
ფერს ვერ ვტყუობულობთ.

მართი ტერმომეტრი გვაქვს ჩვენ იმის
შესატყობლათ—უნდა მოველოდეთ ხელ-
ახლად ბრძოლის დაწყებას, თუ არა;—
ეს ტერმომეტრი ინგლისის ფლოტია.

როცა ეს ფლოტი სტამბოლს უახლოვ-
დება, ჩვენ ვამბობთ ჩვენს გუნებაში:
ტუდათ არის საქმე; ინგლისის სტამბო-
ლის დაჭერას აპირებს, გზაზე უნდა გა-
დაეხიროს რუსეთს—უეჭველია, ომი იქ-
ნება! მეორე ღღეს მოდის ტელეგრაფში,
რომ ინგლისის ფლოტი უკან დაბრუნ-
და ბოსფორიდან, სტამბოლი მიატრეოა;
ახლა ვამბობთ: მაშ საუბიკრებელია, რომ
ომი აღარ იქნება!

მესამე ღღეს ეს შეხედებითი ფლოტი
კიდევ უახლოვდება სტამბოლს! ინგლი-

„არზრუმის გარნიზონის უფროსს მი-
უვიდა გუშინ მსმალის სამხედრო მი-
ნისტრისაგან ბრძანება, რომ შეიდი ღღის
განმავლობაში გაიტანოს რაც ამ
ქალაქში თოფ-იარაღი და ქონება არის
და ჯარებიც გაიყვანოს.“

ზაზეთის „Голос“-ის უკანასკნელა-
ნომერში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა-
2 თებერვალს მზურგეთიდან გაგზავნი-
ლი:

„ღენ. მკლობეში და ჭრანკინი
გაიარეს ღღეს მზურგეთში; ისინი მი-
დიან ბათუმისაკენ ღერეშ-ფაშასთან
დროებით შერიგების თაობაზე მოსალა-
პარაკებლად.“

მენის გაზეთის „Presse“-ის კორრეს-
პონდენტი იწერება, რომ სტამბოლის
მხლობლად გაჩერებული რუსის ჯარის
აფიცრები დაუბრკოლებლივ მშვიდობიან-
ხოლმე სტამბოლში და ისევ უკან ბრუნ-
დებიანო.

პარიზული გაზეთის „Journal des Dé-
bats“-ს სიტყვით, აღმოსავლეთის საქმის
თაობაზე კონგრესი და მაშა სადამე
რუსეთსა და მსმალეთს შუა საბოლო-
ოთ მორიგება ორ თვეზე აღრე არ მო-
ხდებაო.

ომისთვის გზადება

ამ თებერვლის პირველს შევიდა
ჭლოტი ღარდანელში და მიადგა სტამ-
ბოლს. მეორე ღღეს ამ საგანზედ გაცხა-

სში მზადება არის ომისთვისო, გვა-
ნობებს ტელეგრაფში. ახალი გულის-ძგე-
რა! მეოთხე ღღეს ინგლისის სამხედრო
ხომალდები გამოვიდნენ ღარდანელის
წყლიდან;—ახალი იმედი მშვიდობიანად
საქმის გათავებისა!

და ასე ამ ნაირად ღღე-გამოშვებით
ხან ომისა და ხან მშვიდობიანობის მო-
ლოდინში ვართ...

უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებიან,
რომ ხონტჭარმა (სტამბოლში მიიპატი-
ყა ღღის არმიის მთავარ-სარდალ
ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და იმის
ღირსეულ მისაღებად ღოღმა-ბაღჩეს
სასახლეს ამზადებდა!

ამის შემდეგ კიდევ ამბობენ, ოსმა-
ლების გულ-ქვეყნაზაზედ და ბარბარო-
სობაზედ რასმე! ძაცმა ცხვირ-პირი და-
გამტერიოს, და მერე კიდევ შინ მიიწეო,

რეზუმი ბაასი იყო ინგლისის პარლამენტში. მინისტრმა ნორტოტმა სხვათა შორის სთქვა როცა ჩვენ შევეცყეთ, რომ რუსის ჯარი შესულა სტამბოლში, იმწამსვე ჭლოტის აღმირალს ვაცნობეთ, რომ ღარდნელის წყალი გაიაროს და სტამბოლს მიაღდეს. ღღეს მოგვივიდა ამბავი, რომ 4 ჩვენი ხომალდი ბოსფორში არის გაჩერებული და ორიც ბალიზოლთან.

ამავე სხდომაზე ლორდ ღერბის უთქვამს, რომ თუცა ჩვენი ჭლოტი სტამბოლს მიაღდა, მაგრამ ეს გარემოება რუსეთს არ აძლევს უფლებასაო, რომ თავის ჯარები შეიყვანოს ამ ქალაქში.

ლონდონის გაზეთის „Times“-ის სტამბოლელი კორესპონდენტი იწერება:

„29 იანვარს მოვიდა აქ ორი რუსის აფიცერი, რომელნიც რაგუზაში მიდინან მსმალეთსა და ჩერნოგორიას შუადროებით შერეგების პირობის შესაკრვლად. ხონტარმა რკინის გზის სტანციაზე გაუგზავნა ამათ თავის საკუთარი კარგა და სასახლეში მოიწვია თავის სანახავად.

მალტის კუჭულიდამა იწერებინან ფრანკულუს გაზეთებში, რომ ინგლისმა რამდენიმე ახალი პოლკი ჯარი გამოგზავნა აქაოდა დიდი მზადება აქვს ომისთვისაო.

„Polit. Crespon.“-ის სიტყვით, მსმალეთს ჰყავს ამ ქამად შემდეგი ჯარები: შუმლისა და მარნის ციხეებში—35,000 კაცი, სტამბოლში და იმის არე-მარეში—40,000, სერბიის სამზღვარზე—17,000 და სკუტარში—7,000 კაცი.

შემოსენებული გაზეთი ამბობს, რომ მსმალეთი ისეთ ნაირად დაცემული და დასუსტებული არის ამ ქამადაო, რომ იმას ბრძოლის გაგრძელება აღარ შეუძლიანო.

საუკეთესო სახლი დაუმზადო, პატივი სცე,—მაზე უფრო მომეტებული სულგრძელება, დარბაისლობა და ღმობიერება განა იქნება!..

მაგრამ დავანებოთ თავი ამ ომსა და ხონტარების გულ-ღმობიერებას და დარბაისლობას. მინდა რამდენიმე სიტყვა გითხრათ ახლად-დაბადებულის გაზეთის „მზზორის“ დარბაისლობაზე და იმისაგან ადგილობრივი გაზეთების მამობრივ დარიგებაზე.

საქმე აი რასში მდგომარეობს: სომხური გაზეთის „მზაკის“ რედაქტორმა, უფ. არწრუნმა, რომელიც, ყველას და ყველაფერს უწყრება და ემდურის, რამდენიმე სტატია დაბეჭდა ამას წინათ თავის გაზეთში, რომლებშიაც თავის საზოგადოებას (სომხებს) ემდურა, რომ თქვენ სომხური არ მოგწონთ რაო, სომხურ გაზეთებს არა ჰკითხულობთ, თქვენთვის გაზეთის გამოცემა არ ღირსო და თუ მომეტებული თანაგრძნობა (მატერიალური) არ დავინახე თქვენის შრით, გაზეთის გამოცემას თავს დავანებებო!

საქართველო

დღიური

* ამ დღეებში გარდაიცვალა „მზნე ღენგალი“ თ. იოსებ მარხანოვი, რომელმაც ეს მხნეობის სახელი დაიმსახურა მსმალეთთან ბრძოლაში 1855 წელს შარსის აღების დროს.

გარდაიცვალა აგრეთვე ამ ომში სახელ-დამსახურებული, სოხუმიდამ მსმალეობის გამდევნელი და შემდეგ მუხთარ-ფაშის არმიის დამარცხებაში არამცირედი მონაწილეობის მიმღები ახალგაზდა ღენ-მაიორი შოლკოვნიკოვი.

უცქველია, რომ ახლა უფრო მომეტებულ ყურადღებას მიაქცევენ სხვა-დასხვა ასენიზაციებს, ღეზნფეციებს, ჯარებისა და ქალაქების ჯანმთელობასა და სხვ.

* მართი შემადარწუნებელი ამბავი მოგვივიდა ჩვენ სამეგრელოდამ:

გეწერენ, რომ ერთს იქაურს პატივცემულ თავადიშვილს, (სახელსა და გვარს ჯერ არ ვაცხადებთ), 45—50 წლისას, ამას წინათ თავის მვილებსათვის გუევერნანკა დაუჭერია და თავის სოფელში წაუყვანია. ამ ერთი თუ ორი კვირის წინათ, რაღაც მიზეზით, ბრწყინვალე თავადიშვილს ცოლი მუთაისში გაუსტუმრებია, მარჯვე დრო ამოუჩნევია, შევარდნია ხსენებულ გუევერნანკას ოთახში და ძალ-დატანებით გაუპატიურებია...

ამ გარემოებას ისეთი საშინელი ზედმოქმედება ჰქონია, როგორც ამბობენ, იმ საბრალო ახლგაზდა ქალზე, რომ გამოქცეულა სოფლიდამ, რამდენიმე ვერსი ტყით და მინდვრით ურბენია და ა.—ს-ში ჩამოსულა თითქმის გაგიჟე-

არ შეიძლება არა სოქვას კაცმა, რომ ეს სიტყვები ერთობ წინ დაუხედავი, ერთობ უმიზნო და უადგილო სიტყვებია. დარწმუნებული ვართ, რომ უფ. არწრუნს სხვა რამ ქონდა სახეში, როცა ამას სწერდა: ეგონა, ამ გვარის საშუალებით ხალხს გამოაღვიძებდა, სამშობლო მწიგნობრობას შეაყვარებდა და სხვა ამ გვარები. მაგრამ ამ კეთილშობილურ მიზნისათვის სხვა საშუალება, სხვა სიტყვებია საჭირო, და არა დამცირება თავისვე ხალხისა და თითქმის ძალ-დატანება, რომ ჩემს გაზეთზე ხელი მოაწერეთ.

+

მაგრამ საქმე ამაში კი არ არის, საქმე იმაშია—თუ ამ საგნის შესახებ რა ჰაზრები წარმოსთქვა გაზეთმა „მზზორმა“ საზოგადოთ ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების მნიშვნელობაზე.

„მზზორი“ ამბობს, რომ მოწინავე საზოგადოება სომხებისა (უცქველია, ქართველებსაც იგულისხმებს), იმდენათ განათლებული არისო, რომ იმას ადგილობრივი — სომხური (ალბათ, ქართულიც) ჟურნალისტიკა ვერ აკმაყოფი-

ბული. აქ დაუბარებია შემდეგ მოთი-ღამ ღელა და ერთად წაასულონ...

* ჩვენ შევეცყეთ, რომ იარაჟის ბაზარნიკის უფ. წითლიყვისათვის ამ დღეებში ორ ყასაბს შეურაცხყოფა მიუყენებია იმ დროს, როცა ბაზარნიკი ნებას არ აძლევდა იმათ, რომ ტაქცაზე მომეტებულ ფასით გაეყიდნათ ხორცი. ამბობენ, რომ ეს საქმე პროკურორს გადასცესო.

* „თფილისის ბანცხადებანი“ გვაცნობენ, რომ სოფ. საგარეჯოს „დამზოგველ ამხანაგობას“, რომელზედაც ჩვენი გაზეთის წასრულ ორ ნომერში იყო რამდენიმე სატყვა დაბეჭდილი, განზრახვა აქვსო, რომ სოფლის ნაწარმოების გასააღებელად თფილისში ცალკე მაღაზია გახსნასო.

ძალიან კეთილი ჰაზრია....

„დროშის“ კორესპონდენცია

სტ. შარმლი (შართლში), 6 თებერვალს. მჭვალი, ქუთუმა და წითელა ყველა ერთად არის ამ ქამად ჩვენს სოფელში გავრცელებული, და თუცა ეს სენები ისეთი ძნელი და მძიმე სენები არ არიან, მაგრამ ხალხი მაინც იხოცება, დღეში თითო სული.

მიზეზი გახლავთ ავთმყოფების მოუვლელობა, უეჭიმობა და ხალხის სიღარიბე. მოგვსენებათ, აქაური ხალხი მიწურში ცხოვრებს, სადაც მუდამ ნოტიობა, სიცივეა; სუფთად ვერ ინახვენ ავთმყოფს, რიგინი საქმელ-სასმელი გლეხს ვინ მისცა და ამას დაუმატეთ კიდევ, რომ ექიმი ჩვენს სოფელში გლეხს, მგონი, თავის სიცოცხლეში თვალთაც არ უნახას.

ლგებსო, რუსულსა და ევროპიულს მწიგნობრობაში და ჟურნალისტიკაში დაემებს ის თავის გონებით მოთხოვნილების დაკმაყოფილებასო, ევროპის სახელმწიფო და პოლიტიკურ ცხოვრების გაცნობას და საზოგადოთ თავის გონების საზრდოს მოპოებასო.

ადგილობრივი ჟურნალისტიკის დანიშნულება და მოვალეობა კი, „მზზორის“ ჰაზრით, ის არის, რომ ისეთს წრეში დარჩეს, ისეთის საზოგადოების ნაწილისთვის იმუშავოს, რომელსაც რუსული და ევროპიული ენები არ იციან, რომელთაც „ცივილიზაციის ანბანიც“ არ გაეგებათ,—ერთის სიტყვით, სომხური და ქართული გაზეთები მხოლოდ დაბალი, უმეცარი ხალხისთვის უნდა გამოდიოდესო, რადგან „განათლებულ“ საზოგადოებას თქვენ ვერ დააკმაყოფილებთო, ამ საზოგადოებას მხოლოდ რუსული და ევროპიული გაზეთები აძლევნ ტეინის საზრდოსაო და სხვ. და სხვ.

×

შველას ეპატიება ამ გვარი ჰაზრის გამოთქმა ადგილობრივ ქართულ-სომხურს ჟურნალისტიკაზე, და არა „მზზორის“.

ამას წინათ ერთი თოთხმეტი წლის ბიჭი წითელით იყო ავით და მუცლის წვა ჰქონდა: არაყი დაეღვინებინათ, რომ მუცლის წვას მაინც მოუსპობო; მაგრამ საწყალს მუცლის წვაც მალე მოუსპო და სიცოცხლეც: მესამე დღეს მოკვლა.

დიდ საჭიროებას შეადგენს აქეთკენ ექიმი; ერთი კვირით მაინც ჩამოვიდოდეს, საჭირო დარიგებას მისცემდეს სოფლის ხალხს, უეჭველია, ბევრს გადაარჩენს სიკვდილისაგან. მაგრამ რა! ასეთი სიძვირეა ახლა ექიმებისა, ამ ომიანობის გამო, რომ სოფლებში კი არა, ქალაქებშიაც არ იპოვებო და ჩვენ ვინ მოგვშავებს...

მამასახლისის ამორჩევა გვქონდა ამ რამდენიმე დღის წინათ. ძველ მამასახლისს ემდურადა ხალხი: ერთობ გასუტდა ამ მამასახლისობაში, წელიწადში ასს კოდს პურს თავისთვის გვახდევინებო, გვაფრთხილებო, სულის გაძრობსო, ლაპარაკობდნენ გლეხები, და ძალიან გულით უნდოდათ, რომ გამოეცვალათ და ვინმე სხვა დაეყენებინათ იმის ადგილას.

ძველმა მამასახლისისარმა ურიამ გამოცხადა სურვილი; მე სამოც კოდს პურს დაგვჯერდებით წელიწადში, მწერალსაც ჩემის ხარჯით დავიჭერ და ერთ ცხენსაც ჩავაყენებ ბეგარაში, — ასე ამბობდა ეს ურია და ამით ბევრი ხალხი მიიმხრო თავისკენ: გადაწყვიტეს იმის ამორჩევა.

მაგრამ მამასახლისმა აი რა ოინი იხმარა: იმას მოესყიდნა, როგორც სჩანს: ჩვენი მღვდელი და როდესაც სოფელი ამორჩევის წინათ სახარებაზე და ჯვარზე დასაფიცებლად მიიყვანეს, მღვდელი ჯერ დააფიცებდა და მერე თითოეულს გლეხს

ჩუმაღ ჩაუჩურჩულებდა თურმე ყურში: „გაგიწყრეს ამ სახარებისა და ჯვრის მაღლი, თუ ურია ამორჩივია!“

წარმოიდგინეთ ამომრჩეველების მდგომარეობა! მეტი რა გზა ჰქონდათ: ისევ ძველი მამასახლისი ამორჩიეს და დაისევს კისერზე... მხოლოდ ერთი იმედი დარჩენია ახლა სოფელს: ეს მამასახლისი რაღაც საქმეში არის გარეულო, მომრიგებელ სასამართლომ გაამტყუენაო, იქნება ღმერთმა ინებოს, ოკრუქნის სასამართლომაც გაამტყუენოსო და მაშინ უჩვენოთ გადაყენებენ ამა-საო.

!N

საბაასო

უფ. ჯაფახის ამრამსონდენიანაზმ.

ღვთის წინაშე ამ რედაქტორების მდგომარეობაც ზოგჯერ ხათბალაა. — მოუვათ გაზეთში დასაბეჭდათ ვისგანმე წერილი და შეუდგებიან იმ წერილზედ სჯას და თუ საზოგადო ყურადღების ღირსი აღმოჩნდა, ბეჭდავენ თავიანთ გაზეთში.

მაგრამ უფრო კი ხშირათ, რასაკვირველია, თითონაც არ იციან, რამდენათ ჭეშმარიტნი არიან იმ წერილში მოყვანილი ამბები. ტყუილ-მართალი მხოლოდ მაშინ იგება, როდესაც საზოგადოება უკვე კითხულობს გაზეთში. მაშინ გაიბმება ხოლმე გაზეთში ზაასი მოწინააღმდეგე პირთაგან: არა ასეო არა ისეო, რომლითაც მკითხველებს თავს აზებრებენ და ტყუილ-უბრალოდ გაზეთში ალაგს იჭერენ. ზოგიერთი მკითხველები კი უფრო ხშირათ თვითონ რედაქტორს ამტყუნებენ: „რათ ხდის

თავის გაზეთს ტყუილების მოამბეს, და რათ მიენდობა განურჩევლად ყველა წერილებსაო, მეტადრეც მტკიცე წერილებსაო, მელთაც საზოგადო მხოლოდ ვისიმე განკიცხვა აქეთ მხედველობაშიო.“

ჩემის აზრით, ამ შემთხვევაში რედაქტორზედ ყოველივე გვარი სამღუარევი უადგილოა, რადგანაც ის არც გულთმისანია და არც თუ ყოველგან მყოფელი და ყოველივეს მხილველი. — რასაკვირველია ის კი ურიგო არ იქნებოდა, რომ რედაქტორი კოკას იცნობდეს და ისე მიენდოს მისგან წამომდინარს.

ამ ყოველივე გარემოებას საკმაოდ გვიმტკიცებს ქვემოთ მაგალითათ მოყვანილი ზუნქტები უფ. ჯაფახის სტატიკაზე (იხილ. „დროება“ № 4), რომლიდანაც მკითხველები აშკარათ წარმოიდგენენ მთელ იმ სურათს, რაიცა ზემოთ აღწერე:

1) უმაღლესი მთავრობის განკარგულებით, თითო მოსახლე ღუზამორზე, როგორც უფ. ჯაფახი ბძანებს, ოთხ-ოთხი ავთმყოფი სალდათი კი არ არი დასაყენებლათ გამოგზავნილი, ორ-ორია.

2) საქმელ-სასმელი სახლის პატრონებისა კი არ არი სამხედრო მთავრობა თვეში თხუთმეტ მანეთს აძლევს თითო სალდათის გამოკებაში.

3) სულ ერთიანთ ავთმყოფები 985 კაცს შეადგენენ და არა 2,000.

4) ღღში ორ-ორ აბაზს კი არა ათათ შაურს სამხედრო მთავრობა აძლევს თითო სალდათში და არა წათელი ჯვრის საზოგადოება.

5) ახალქალაქის მაზრის უფროსს არავითარი შემწეობა არ აღმოუჩენია არც ავთმყოფებისათვის და არც ექიმებისათვის: ის მხოლოდ გამოხმობილი იყო ყოვლის შემთხვევისათვის.

ზორს“, რომლის რედაქტორი, უფ. ნიკოლაძე, ეხლა თუ არა, ერთ დროს მაინც იღებდა არა-მცირედ მონაწილეობას ამ ადგილობრივს ჟურნალისტიკაში, თუმცა, დაგვეთანხმება, რომ იმ გვარსახალხო მწერალადა და ჟურნალისტად, როგორც ის ამბობს, ის თავის დღეში არც ყოფილა და არც იქნება. უფ. ნიკოლაძესაგან, რომელიც ათი წელიწადი მოღვაწეობდა ქართულს ადგილობრივს ჟურნალისტიკაში, უფრო გონივრულ პაზრს და შეხედულებას მოველოდით ამ ჟურნალისტიკის მნიშვნელობაზედ.

პირველად ეს უნდა ესთქვათ, რომ „ხალხი“ და განათლებული, მოწინავე საზოგადოება, მგონი, არსად არ არის ისე ერთმანეთზე დაახლოებული, როგორც ჩვენში; ორივე ერთნაირად განათლებულნი, ანუ უკეთ გაუნათლებელნი და უმეტარნი არიან, ორივეს ერთნაირი გონების გახსნა, ორთავეს ერთი ენა, ერთი ჭირი და ერთი ლხინი. აქეთ.

ამიტომაც არის, რომ უფ. ნიკოლაძის ნაწერებს თითქმის ერთნაირის გაგებით, ერთგვარის სიამოვნებით ან უსიამოვნებით წაიკითხავს, როგორც გლეხი, ისე თავადი, როგორც ეპყარი, ისე ჩი-

ნოვნიკი.

ბანსხაეება, რასაკვირველია, არის; მაგრამ ისეთი არა, როგორც მაგალითად პეტერბურლის განათლებულ საზოგადოებასა და ესთქვათ, რომელიმე მოლოგოდის გუბერნიის გლეხებს შუა.

+

მაგრამ, ვთქვათ, არის ჩვენი ხალხის ორ ნაწილს, ორ წოდებას შუა დიდი განსხვავება, — განა დაწინარებული ნაწილი ხალხისა ისეთს ევრაფერს იპოვის ჩვენს გაზეთებში, რომ იმის ყურადღებისა და ცოდნის ღირსი იყოს! ვთქვათ, აქაური გაზეთები, როგორც თქვენ მამა-შვილურად გვიჩვენო, მდებო ხალხისთვის გამოდიოდეს, განა დაწინარებული და მე-როპის ცხოვრების თვალ-ყურ მადვენებელი საზოგადოება მაინც ეალდებული არ უნდა იყო გაიცნოს — თუ რას სწერენ იმის ბდაბო ხალხისათვის?

+

შველა ამას გარდა, ადგილობრივ ჟურნალისტიკას აქვს ერთი ღირსება, რომლის გამოც ყველა ნამდვილად განათლებული ადგილობრივი მცხოვრებლები უეჭველად ეალდებულნი არიან, რომ იმას ყურადღება მიექციონ. ეს ღირსება განლაეთ შემდეგ:

არცერთს აქაურს რუსულს გაზეთში, არც „ბავკაში“, არც „მთ. მოამბეში“ და არც, უკაცრავად ნუ ვიქნებით, „მზზზორში“, არ მოიპოვება იმდენი მასალა აქაური ხალხისა და ქვეყნის გასაცნობად, რამდენიც ადგილობრივს გაზეთებშია.


და, გვგონია, რომ იმ მოწინავე საზოგადოებამ, თუ ის ნამდვილად მოწინავე და განათლებულია, უნდა იცოდეს, რომ ყველაზე უწინ ყოველმა მოქალაქემ თავის ქვეყანა უნდა გაიცნოს, თავის ხალხი, უფ. ნიკოლაძის „მზზზორი“ კი იმას გვიჩვენებს, რომ მაღალი, განათლებული საზოგადოებისათვის ადგილობრივი გაზეთები უფარგისი არისო, მართა მდებო ხალხისთვის უნდა სწეროთო.

+

მართი კითხვა საკუთრივ „მზზზორის“ რედაქტორს უფ. ნიკოლაძეს:

— რადგან ამგვარის პაზრისა ხართ ადგილობრივ გაზეთების მნიშვნელობაზედ, იქნება იმიტომაც გადგიით თქვენ განზე, იქნება იმიტომ მიატყუეთ ქართული მწიგნობრობა და ჟურნალისტიკა, და შეუდგით რუსულს?

სილოლაკელი.



6) ღუხბორები გარდა ღვთისა, არამც თუ თაყვანი სცენ ცოცხალ ადამიანს და იმ გვარ ღუხბორის ქერის როგორც ლუკერია მასილენა არის, არამედ რასაც ჩვენ ვცემთ თაყვანს, ე. ი. ხატს, ჯვარს, სახარებას და ეკლესიასაც ესენი არ აღვიარებენ, რადგან ადამიანის ხელ-ქმნილი არიან. შეე ყოველი ამით სწამთ მხოლოდ აზრში გამოხატვით, წარმოდგენით და ისე უხილავთ როგორათაც საბაო ღმერთი.

7) მეღუქნეებს სრულებით იმდენი ხარჯი არ გაუწევიათ, რამდენათაც საქვეყნო გაჭრელებულია გაზეთში: მთელი დაბატივება შედგენდა იმ პირველ გზებით მოსულ ავთმყოფებისათვის თითო რუმკა არაყს, რომელიც ბევრი როდნარჯულიყო, ერთს თუნგს მაინც არ გადააჭარბებდა.

8) ექიმმა რემმერტმა მხოლოდ ეს ახალი გასპიტალი რევიზორისამებრ დაათვალიერა. ავთმყოფების სოფლებში და სახლებში გარიგება ექიმს როზონოვს ჰქონდა მინდობილი, რომელიც ავთმყოფებს თანვე მოჰყავდა და კიდევ შეასრულა თავის მინდობილება, თითქმის ორ კვირაზედ წინ ექიმის რემმერტის მოსვლამდე.

9) სუყველა სოფლებში სამოქალაქო ექიმები უფლიან ავთმყოფებს და არა სამხედრონი. სამხედრო მხოლოდ სამნი არიან, სამოქალაქონი კი შეიღნი.

10) მთხი და ზუთი დღე დაკოდლინი ექიმების უყურადღებოთ არ დარჩენილან. მთუ რამდენათ თავ-განწირულად უფლიან ავთმყოფი ექიმები ავთმყოფებს, ამას ის გარემოება გვიმტკიცებს, რომ ორი ექიმი სახლბოთ ავთ დახდნენ და დღესაც საშიშო მდგომარეობაში იმყოფებიან. მეორეც იქიდან სჩანს, რომ ოთხასზედ მეტ სალდათს დღეს თუ ხვალ გამოსწერენ, რომელთაც პირდაპირ ატრიადში შეუძლიან წასვლა.

11) ექიმებს რო ძალღებისა ეწინა-

დეთ ეს არავისთვის გასაკვირველი არ არის და ნაცვლი და გზირა საქირო იყენენ პირველად იმისთვის, რომ ეჩვენებინათ მთელ სოფელში გაფანტული ავთმყოფები სად ვინ იწვა და მეორეც იმისთვის, რომ ხალხის პატრონებისთვის აეხსნათ მათი მოვალეობა, თუ როგორ უნდა მოეყოლოთ ავთმყოფებისათვის, რა საქმელი ექმიათ და სხვა.

12) ექიმი იულოსკი ამ მაზრის ექიმი და ყოველივე კანონიერ მოთხოვნილების აღსრულებას, რაიც კი სასარგებლოთ მიიჩნდა ავთმყოფებისათვის, სასტიკად ითხოვდა ნაცვლის და გზირისაგან.

ამ გვართ მოკლეთ ვათაეზ ჩვენს ბაასს და ეთხოვ მკითხველს გაშინჯოს: უფ. ჯავახს დარჩა-ლა თუნდ ერთი სიტყვა მართალი.

ილ. აღზაზაშვილი

სოფ. მ. არელოვკას, 1 თებერვალს.

განცხადებანი

სტუდენტს ჰსურს აძლიოს უროკები დაბალ კლასებში მოსამზადებელად.

ადრესის შეტყობა „დროების“ რედაქციაში შეიძლება. (5-5)

თფილისის ძალაქის გამგეობისაგან.

თფილისის ძალაქის გამგეობა აცნობებს იმ პირთ, რომელთაც ტრამპტირებში უჭირავთ, რომ ყოველ ტრამპტირზე დაღებული საშუალო აქციზის (გადსახადის) შეტანის ვადა დანიშნულია: წლის პირველი ნახევრისა—1 მარტს, და მეორე ნახევრისა—1 ივლისს ამა 1878 წელსა.

(3-3)

თფილისის ძალაქის გამგეობისაგან.

ძალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცნობებს, რომ აქულისის მოქალაქეს ზარგაროვს მინდობილი აქეს გამგეობისაგან საქონლის მძოვრის აკრება ქუჩებიდან და ქალაქს გარეთ გატანა დასამარსად.

ამის გამო გამგეობა სთხოვს ქალაქის მცხოვრებთა და სახლის პატრონებს, ნუ გამოჰყრიან ხოლმე ქუჩებში მძოვრებს, არამედ აცნობენ გამგეობას, ამა-და-ამ ადგილას მკედარი საქონელი ავლიო, და თვითონ გამგეობა მოახდენს განკარგულებას, რომ ის გაათრიონ ქალაქს გარეთ.

(3-3)

გამოვიდა და ისყიდება

„სოლი ვიტირო, თუ უშლი?“

ჰომელია აღვ. თუთავეისა

ისყიდება: ძალაქში—ყველა წიგნის მალაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თელავს—იოსებ პუშმანშვილთან, მარელს—დავით ძეროზაშვილთან, ხაშურისა და ბეჟაბუზნის ჯუფეტში, სურამს—ზაქარია არუწოვთან, მუთაისს—იაკობ მჰანეზოვთან და სე. სერვაძესთან ფოთში—მლისბარ ბაბალოვთან, სხინვალს—თ. ივ. თაქთაქოვთან, საქაშეთს—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრისხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, ზორში—სტ. ზომოცეთთან და თვითონ აეტორთან.

(5-3)

რძ. გზა.	დღლა.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	ბირჟა	მან. კაპ	გაზანდა	მან. კაპ
თფილისი	9 21	5 18			მ. სიტყვა თფილისიდან:		პეტერბურგი, 10 თებერ.		თფილისი, 11 თებერ.	
მცხეთა	10 11	6 27	- 68 -	38	მუთაისს, ფოთს	1 —	მართი პანეთი ლირს:		შვე. ფთ. ბანჯისა, ფთ.	2 10
ზორი	11 58	9 43	2 40	1 33	ზორს, დუშეთს, სიღნაღს	50 —	ლონდონში 23 პენსი.	78 —	შვეილი წითელი	1 80
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდებსას, მოსკოვს	2 —	პარიჟში 263 სანტიმი.	62 —	ძერი ფუთი	1 45
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, შარვაშას	2 —	მსკონტი (სარგებლისფასი)	71 —	ბამბა პრევენისა, ფუთი	8 —
შვირილა	5 49		5 81	3 23	მსხალეთში, შვეიცარიაში	3 —	ბანკის ბილეთი 5%	95 50	— ამერიკისა, ფუთი	8 20
რიონი	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	მოგებიანი (პირველი ნახევრისა)	235 25	ბანკეტლი ბამბა ფუთი	12 —
სამტრედია	7 41		7 73	4 29	ინგლისში	3 75	მოგებიანი (მეორე ნახევრისა)	235 50	მატული თუშური ფთ.	8 50
ახალსენაკი	—		8 57	4 76	ფოთსა		ბირაოს ფურცლები:		— თარაქამისა ფთ.	4 40
ფოთი	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე		მ. ფილ. სააზნ. ბანკისა.		პბრჭუმი ნუბური სტ.	2 —
ფოთი	9 13		1 18	- 66 -	კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		ხერსონის ბანკი	83 25	ძონი, ფუთი	6 20
ახალსენაკი	—		2 6	14	მ. ზურ. — პარასკ. და ორშ. მახეთს		მოსკოვის	83 50	ძონის საბთელი ფუთი	8 —
სამტრედია	11 16		3 4	1 69	სამშ. და შაბ. ბ) მუთაისიდან:		აქციები:		სტეფანის საბთელი, ფ.	14 40
რიონი	12 13		3 4	1 69	თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ		მდების სავაჭრო ბანკის	177 —	ხორცი ძროხისა, ლიტ.	90 —
შვირილა	1 18	ლაშ	3 98	2 21	დღე, კვირას გარდა. მ. ზურგეთს—		ფოთი-თფილ. რკინა გზის	—	— ცხვრისა, ლიტრა	90 —
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96	ორშ. და პარასკ.		შავი ზღვის ცეცხ. გემების	527 —	სპირტი, გრადუსი	15 —
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24	წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ.	პავაზის და მერკურის	225 —	შაქარი, ბროც. ფუთი	8 20
ზორი	7 5	4 8	7 36	4 9	და სამზღვარ გარეთ:		პირვ. საზღვევ. საზრგ.	745 50	— ფხვნილი ფუთი	8 —
მცხეთა	8 50	6 59	9 8	5 4	ლია წიგნისა	4	პეტრობ. საზღვევ. საზ.	235 50	შავა გრვალრი გრვ.	80 —
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42	დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8	მოსკოვის საზღვევ. საზ.	268 —	ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13 50
									მკრო 1/2 იმპერიული.	7 52